"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ოპერაცია ,,ოვერლორდი'': შეცდომაში შეყვანის და საცეცხლე მხადაჭერის ეფექტი

ვიცე-პოლკოვნიკი ნიკოლოზ ხაჩიძე[1]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8498

აბსტრაქტი

ნაშრომი განიხილავს მსოფლიოს მასშტაბით ერთ ერთი ყველაზე დიდ საზღვაო სადესანტო ოპერაცის სახელწოდებით ,,ოვერლორდი''. აღნიშნული ოპერაცია განხორციელდა ნორმანდიის სანაპიროზე 5 მიმართულებით ,,UTAH'' ,,OMAHA'' ,,GOLD'' ,,JONO'' ,,SWORD''. ოპერაციის შესრულების დროს გამოიკვეთა სხვადასხვა ასპექტების ერთობლიობა თუმცა ნაშრომი განიხილავს მხოლოდ ორ მათგანს- შეცდომაში შეყვანის ოპერაციას და საცეცხლე მხარდაჭერას. აღნიშნული მიმართულებებიდან მხოლოდ ერთზე ,,OMAHA'' შეიქმნა პრობლემა, თუმცა მოგვიანებით ამ მიმართულებაზეც წარმატებას მიაღწიეს მოკავშირე ძალებმა.

საბოლოო ჯამში ნაშრომი ხაზს უსვამს შეცდომაში შეყვანის და საცეცხლე მხარდაჭერის მნიშვნელობას მსგავსი მასშტაბის და რთული ოპერაციის განხორციელებისთვის. რადგან ოპერაციის დაგეგმვის ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შეცდომაში შეყვანის ოპერაციამ და გერმანული მხარე მოუმზადებელი შეხვდა დესანტირების დაწყების პროცესს. რაც შეეხება საცეცხლე მხარდაჭერას- მოკავშირე ძალების მხრიდან განხორციელდა ზუსტი და კოორდინირებული ცეცხლი დესანტირებული ძალის მხარდასაჭერად.

საკვანძო სიტყვები: საცეცხლე, სამხედრო ოპერაციები, დესანტი, ჯარი

[1] სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ხელმძღვანელი

"სამხედრო შრომები"№ 3 (2024)
WWW.MILITARYPAPERS.ETA.EDU.GE/

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

Operation Overlord: The Effects of Deception and Fire Support

Lieutenant Colonel Nikoloz Khachidze[2]
DOI: https://doi.org/10.61446/mp.3.2024.8498

Abstract

The paper discusses one of the largest naval landing operations in the world called "Overlord". This operation was carried out on the Normandy coast in 5 directions: "UTAH", "OMAHA", "GOLD", "JONO", "SWORD". During the operation, a combination of various aspects was identified, although the paper discusses only two of them - the deception operation and fire support. Only one of the aforementioned directions, "OMAHA", created a problem, although later the Allied forces also achieved success in this direction.

Ultimately, the paper emphasizes the importance of deception and fire support for the implementation of such a large-scale and complex operation. Because the deception operation played an important role in the planning stage of the operation, and the German side was unprepared for the start of the landing process. As for fire support, the allied forces provided precise and coordinated fire in support of the landing force.

Keywords: fire, military operations, landing, army

[2] Head of the Bachelor's at LEPL – David Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia, Caucasus International, University of social sciences Faculty of Sciences Political science doctoral education program, https://orcid.org/0009-0004-3076-9678

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

შესავალი

მეორე მსოფლიო ომი იყო ყველაზე მასშტაბური, სისხლისმღვრელი ომი კაცობრიობის ისტორიაში. ომში მონაწილეობას იღებდა 72 სახელმწიფო და დაიღუპა დაახლოებით 60 მილიონი ადამიანი. გერმანელები ომის მსვლელობის საწყის ეტაპზე წარმატებას აღწევენ, მათ შეჩერებას ვერც საბჭოთა კავშირი ახერხებს. ამ მოვლენების ფონზე, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა წამოაყენა იდეა. ,,მოკავშირეთა ძალების მიერ დიდი სადესანტო ოპერაციის განხორციელებაა საფრანგეთში, რომლის მსგავსიც კაცობრიობას ჯერ არ უნახავს. ჩერჩილის ჩანაფიქრით ამ მასშტაბურმა ოპერაციამ კარდინალურად უნდა შეცვალოს II მსოფლიო ომის შემდგომი მსვლელობა ევროპის კონტინენტზე. ოპერაციის კოდური დასახელებაა ,,ოვერლორდი .''[3]

სამხედრო ოპერაციებს შორის, ერთ-ერთ ყველაზე რთულ შესასრულებელ ოპერაციად ითვლება დაცულ სანაპიროზე საზღვაო დესანტის გადმოსხმა. მოკავშირეთა ძალების საზღვაო სადესანტო ოპერაცია ნორმანდიაში, წარმოადგენდა მოკავშირეთა ჯარების სტრატეგიული ოპერაცია „ოვერლორდის" პირველ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა მოკავშირეთა მიერ საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის დაკავებას. ოპერაცია დაიწყო 1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში. ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადისა და მათი მოკავშირე ჯარების გადასხდომით. ოპერაცია ,,ოვერლორდის'' ხელმძღვანელი იყო ამერიკელი გენერალი დუაით ეიზენჰაუერი. საზღვაო დესანტის გადმოსხმისთვის ნორმანდიის სანაპიროზე განისაზღვრა 5 მიმართულება ,,UTAH'' ,,OMAHA'' ,,GOLD'' ,,JONO'' ,,SWORD''. წარმატებულმა საზღვაო დესანტირების ოპერაციამ დიდი გავლენა მოახდინა ოპერაცია ,,ოვერლორდის'' შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნული ოპერაციის მნიშვნელობიდან, სირთულიდან და მასშტაბურობიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილული იქნება ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებმაც ხელი შეუწყო მსოფლიოში ყველაზე ფართომასშტაბიანი საზღვაო სადესანტო ოპერაციის წარ-მატებით შესრულებას.

ძირითადი ნაწილი

საზღვაო სადესანტო ოპერაციის წარმატება დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტის სინქრონულ განხორციელებაზე დროში და სივრცეში. აღნიშნული ასპექტებიდან ყურადღებას გავამახვილებთ მოულოდნელობის და საცეცხლე მხარდაჭერის ეფექტზე.

მოკავშირეთა ძალებმა, მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად, წარმატებით გამოიყენეს შეცდომაში შეყვანის გეგმა. გეგმის მიხედვით მოკავშირე ძალებმა გერმანელები დაარწმუნეს, რომ დესანტის გადმოსხმა განხორციელდებოდა პა-დე კალეში და არა ნორმანდიაში. ამ გადაწყვეტილების გასამყარებლად მოკავშირეებმა განახორციე-

[3] ა. ჩაჩხიანი, სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია II ტომი. თბილისი. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2018

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ლეს მოწინააღმდეგის დეზინფორმირებას. ისინი აქტიურად იყენებდნენ პრესას, რადიოს, აგენტურულ ქსელს, შენდებოდა აეროპორტები, გადმოსხმის ადგილის მაკეტები, იბომბებოდა გერმანული სანაპირო თავდაცვის ზღუდეები, ასევე გამოიყენებოდა სადესანტო ძალების სადემონსტრაციო გასვლები ზღვაში. ამ მოქმედებების ინტენსივობამ დაარწმუნა გერმანელები, რომ გადმოსხმა მოხდებოდა სწორედ პა-დე-კალეს რაიონში და არა სხვა მიმართულებით. შესაბამისად მათი რეზერვების (დამატებითი ძალები, სატანკო დივიზიები) თავმოყრა მოხდა ნორმანდიის სანაპიროსგან მოშორებით პა-დე-კალეს სანაპიროსთან, შეცდომაში შეყვანის გეგმის მიხედვით. აღნიშნული გეგმის წარმატებით განხორციელე-ბამ უპირატესობა მისცა სადესანტო ძალების ქვედანაყოფებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნორმანდიის სანაპიროს გაშლილი რელიეფი არ იძლეოდა დესანტირების განხორციელებისთვის კარგ შესაძლებლობებს. მსგავსი მოსაზრება ჰქონდათ გერმანელ გენერლებსაც. (გენერალ რომელს საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა თუმცა ვერ შეძლო ჰიტლერის დარწმუნება) ამ ფაქტმა მოადუნა მათი ყურადღება ნორმანდიის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით. ასევე დამატებითი როლი ითამაშა ამინდის გაუარესებამ, გერმანელების ცნობით ივნისის თვეში თითქმის შეუძლებელი იყო სადესანტო ოპერაციის შესაბამისი ამინდის პროგნოზირება. გერმანელი ვეტერანი მაიორი ჰანს ფონ ლაქი იხსენებს: ,,საზღვაო მეტეო სამსახური მუდმივად აკვირდებოდა ამინდს და ყოველდღიურად გვაწვდიდა ცნობებს. 5-6 ივნისისთვის მივიღეთ ცნობა ,,ყველაფერი სუფთაა'' ასე, რომ ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, თუ გადმოსხმა მოხდებოდა. ღელვა, ქარი, ხშირი და დაბალი ღრუბლიანობა ფართომასშტაბიან საზღვაო და საჰაერო მოქმედებებს შეუძლებელს ხდიდა.''[4] განსხვავებული და უფრო ზუსტი ინფორმაცია ჰქონდათ მოკავშირე ძალებს. მათი მონაცემებით 6 ივნისისთვის მოსალოდნელი იყო ამინდის ხანმოკლე გაუმჯობესება ნორმანდიის სანაპიროზე, რაც საკმარის დროს იძლეოდა სადესანტო ოპერაციის განსახორციელებლად. 5 ივნისის ამინდის პროგნოზიდან გამომდინარე, ღამით დანიშნულ თათბირზე გენერალმა ეიზენჰაუერმა ოპერაციის დაწყების ბრძანება გასცა.

ნორმანდიის სანაპიროზე განლაგებული მოწინააღმდეგე ძალების თავდაცვითი ზღუდე შესაძლებლობას იძლეოდა, მთელ სანაპიროს გასწვრივ ეწარმოებინათ ზუსტი და გადამღობი ცეცხლი ყველა სახის იარაღიდან. მოკავშირე ძალებს კარგად ქონდათ შესწავლილი მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. სხვადასხვა სადაზვერვო საშუალებებით მოპოვებული დეტალური ინფორმაცია საშუალებას იძლეოდა წერტილოვანი დარტყმები მიეყენებინათ ყველა იმ ძირითადი საცეცხლე პოზიციისთვის, რომლებიც აღკვეთდა სადესანტო ნავების ნაპირთან მიახლოებას. სიტუაციიდან გამომდინარე, მოკავშირე ძალებმა სინქრონიზებულად მოახდინეს ნაპირთან მიახლოვება და საცეცხლე მხარდაჭერის განხორციელება. საცეც-

[4] უ. ფაულერ, *D- დღე. თბილისი:* ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2009

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

ხლე მხარდაჭერა მიმდინარეობდა, როგორც ჰაერიდან ისე ზღვიდან. ცუდი ამინდის მიუხედავად, მოკავშირე ძალების საცეცხლე მხარდაჭერის ელემენტებმა მაინც შეძლეს მოწინააღმდეგის კარგად დაცული ძლიერი საცეცხლე საშუალებები დაზიანება. კომპლექსურმა საცეცხლე მხარდაჭერამ, რომელშიც მონაწილეობდა ათასობით საბრძოლო გემი და თვითმფრინავი მოკავშირეებს საშუალება მისცა, განეხორციელებინათ დესანტირება ნორმანდიის კარგად დაცულ სანაპიროზე.

წარმატებული ოპერაციის კვალდაკვალ პრობლემები შეიქმნა სადესანტო ოპერაცია ,,OMAHA'' მიმართულებით. ამ ოპერაციას მოგვიანებით ,,სისხლიანი ომაჰა'' ეწოდა. აღსანიშნავია. რომ სხვა რაიონებიდან განსხვავებით ომაჰას სანაპიროს რელიეფი ყველაზე სახიფათო იყო დესანტირების განსახორციელებლად, თუმცა ომაჰას სანაპიროზე დესანტირების გარეშე, ძირითადი ძალებისგან მოწყვეტილი და იზოლირებული აღმოჩნდებოდა ,,UTAH''-ს სანაპიროზე გადასული დესანტი. მოკავშირე ძალების დაგეგმარებები ხაზგასმით ამბობდნენ, რომ ამ სანაპიროზე შედარებით სუსტი თავდაცვის სტრუქტურა იყო განლაგებული და ოპერაცია კარგად იქნებოდა მხარდაჭერილი ზღვიდან და ჰაერიდან. სადესანტო ძალებს ორივე შემთხვევაში გაუცრუვდათ იმედი და ოპერაციის წარმატება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა. დაბალი ღრუბლის გამო საბრძოლო ავიაციამ ვერ შეძლო ზუსტი ცეცხლის წარმოება. მოწინააღმდეგის მიმართულებით მათი ნასროლი თითქმის ყველა ჭურვი ასცდა მიზანს, იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომ მაღალი იყო ნაპირზე გადასული დესანტის დაზიანების ალბათობა, ვერც ზუსტი საზღვაო მხარდაჭერა განხორციელდა. წინააღმდეგობის გამო მოკავშირეებმა ტანკები ნაადრევად ჩაუშვეს წყალში, თუმცა ტანკების უმეტესობამ ვერ შეძლო ნაპირამდე მიღწევა ძლიერი შტორმის გამო. ჯარისკაცები ვინც წყალში ნაადრევი ჩაშვების გამო დახრჩობას გადაურჩა ცდილობდა თავი დაეღწია მოწინააღმდეგის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლისგან. ვითარებიდან გამომდინარე მოკავშირე ძალები იძულებულნი გახდნენ შეეწყვიტათ დესანტირება და დაეწყოთ ზღვაში უკუსვლა. გერმანელმა ოფიცერმა შტაბს უპატაკა, რომ დესანტირება შეწყდა და მოსალოდნელია მოკავშირე ჯარების უკან დახევა.

,,სანაპირო ზოლის დაბრკოლებების უკან მოწინააღმდეგე თავშესაფარს ეძებს. დიდი რაოდენობის ტექნიკა, მათ შორის ათობით ტანკი, შეჩერებულია ნაპირისკენ მიმავალ გზაზე. დაბრკოლებების გამწმენდმა ჯგუფებმა მოქმედება შეწყვიტეს, სადესანტო ხომალდებიდან გადმოსხმა შეწყდა, გემები შეჩერებულია და უკუგდებულია ზღვაში. ჩვენი საცეცხლე საშუალებები და არტილერია ხელსაყრელ პოზიციებზე იმყოფება. მოწინააღმდეგემ განიცადა მნიშვნელოვანი ზარალი. ძალიან ბევრი დაჭრილი და დაღუპული დატოვა სანაპიროზე.''[5] გერმანული სარდლობა აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე დარწმუნებული იყო გამარჯვებაში, ხოლო მოკავშირეთა სავალალო მდგომარეობას ომაჰას სანაპიროზე ნახსენები პატაკი კარგად აღწერს. გენერალი ბრედლი

[5] უ. ფაულერ, D- დღე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2009

ISSN 2720-8184 (PRINT)
ISSN 2720-8680 (ONLINE)
CC BY 2.0

შეწუხებული იყო ,,OMAHA'' სანაპიროზე განვითარებული მოვლენებით და ფიქრობდა ,, ხომ არ გადაესროლა ძალები იუტას სანაპიროსკენ ან სულაც დიდი ბრიტანეთისკენ შეებრუნებინა''. [6]

თუმცა გერმანელების სიხარული ნაადრევი აღმოჩდა და მიუხედავად იმისა, რომ დღის ბოლოსთვის სანაპიროზე განლაგებული სიმაგრეებიდან, ორი მათგანი ისევ გერმანელების ხელში იყო, აღნიშნული სანაპირო ძირითადად უსაფრთხო იყო დამატებითი ძალების დესანტირებისთვის. ამ უსაფრთხოების ფასი ,,OMAHA'' სანაპიროზე 4000 ჯარისკაცის სიცოცხლეს შეადგენდა.

დასკვნა

განხილვამ აჩვენა, რომ გამოსარჩევია ომაჰას სანაპირო სადაც მოვლენები გეგმის მიხედვით ვერ განვითარდა და ოპერაციის წარმატებით შესრულებას საფრთხე დაემუქრა. თუმცა მოკავშირე ძალების დიდი ძალისხმევით სანაპიროს დაკავება მოგვიანებით მაინც მოხერხდა. მიუხედავად ომაჰას სანაპიროზე მომხდარი უარყოფითი ფაქტისა, მთლიანობაში სადესანტო ოპერაციის შესრულებისას გამოიკვეთა ისეთი დადებითი ასპექტები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ოპერაციის წარმატებით შესრულებაში. მოულოდნელობის ეფექტმა მოადუნა მოწინააღმდეგის ყურადღება, შედეგად მათ ვერ შეძლეს ძალების მობილიზება დესანტირების რაიონთან ახლოს. უშუალოდ ოპერაციის შესრულებს დროს კი გადამწყვეტი როლი ითამაშა კომპლექსურმა საცეცხლე მხარდაჭერამ. ზღვიდან და ჰაერიდან განხორციელებულმა მხარდაჭერამ გაანადგურა სანაპიროზე განლაგებული ძლიერი საცეცხლე საშუალებების უმეტესობა, რამაც საშუალება მისცა ქვედანაყოფებს განეხორციელებინათ დესანტირება. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ნაშრომში განხილულმა არგუმენტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მსოფლიოში ყველაზე ფართომასშტაბიანი საზღვაო სადესანტო ოპერაციის წარმატებით განხორციელებაში.

ბიბლიოგრაფია

ჩაჩხიანი, არჩილ. 2018. *სამხედრო შეცდომების ენციკლოპედია II ტომი.* თბილისი: საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა.

ბ: ფაულერ, უილ. 2009. *D- დღე.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

[6] უ. ფაულერ, D- დღე. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.